

ლიანა სიმონიშვილი

ა 6 3 ა 6 3

# ՀՅՈՒՅՆԱ ՏՈԹՈՅՆՈՑՅՈՒՆ

ԵԿՂԵՂԴ

գամոմցեմլոծա „օծերօս“  
տօնութեա  
2013

UDC (უაგ) 821.353.1-1  
ს-515

ლიანა კარლის ასული სიმონიშვილი დაიბადა 1954 წელს, 7 იანვარს, ქ. თბილისში. დამთავრებული აქვს თსუ პიოლოგიის ფაკულტეტი და მეცნიერებათა პათა აკადემიის ასპირანტურა. იყო მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ფიზიოლოგიის ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი; საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ეკოლოგიური ასოციაციის პრეზიდენტი. ამჟამად ა/ო „ჩვენ, მწვანები“-ის ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარეა.

ჰყავს მეუღლე და ვაჟიშვილი.

ლექსთა ეს კრებული მესამე შევსებული გამოცემაა.

რედაქტორი: **კ. არაბული**  
**ა. ჩხაიძე**  
**ა. გაბელაია**

წიგნი იბეჭდება ავტორის ხარჯით

© ლ. სიმონიშვილი  
ISBN 978-9941-0-6090-8

## საქართველო

ცეცხლს რას დააკლებს სუსხი და ან მდინარეს ყინვა, მთას ვერ წააქცევს ქარი, ცას რას დააკლებს გრგვინვა.

ვერ აძაბუნებს ქართველს ავი დრო-უამი ბედის, მარადუამიდან მარად კურთხეულია ღმერთის.

გაცისკროვნებას ქვეყნის შორით დალოცავს ლაზი. გაზაფხულობით, წარსულს მარად იტირებს ვაზი.

## გამოვეცობი

ტყესა მოვისხამ მხრებზედა,  
ქოშებს ჩავიცვამ ქვისასა,  
ქუდს დავიხურავ ძნისასა, —  
ამონნულს გვირილისასა.

ქარსა — მოვარდნილს ციდანა,  
წელს შემოვირტყამ სარტყლადა,  
წყაროს, გარდმოსულს სხივადა  
ყელზე დავიხვევ მძივადა.



## გენური ინიციატივი

ლმერთმა ადამიანი შექმნა თავის ხატად,  
თვის სიმბოლოდ და კეთილდღეობის დარად,  
ქვეყნის მეპატრონედ და მოაზროვნე თავად,  
პლანეტის მიმართ პასუხისმგებლობის ვალად.

ხალხმა დაკარგა კრძალვა და რიდი ღვთის  
მიმართ,  
თავი გაუტოლა, არ ერიდება ხიფათს,  
შემოქმედს, ურცხვად, არჩევანს აბრალებს  
თვისას: —  
მომცაო უნარი უარყოფითის ქმნისა!

გენური ინიციატივა — გენთა აღრევა:  
მცენარე — ცხოველში თუ მიკროორგანიზმში,  
ცხოველი — მცენარეში, მიკროორგანიზმში,  
ვერავინ განსაზღვრავს მათ ქცევებს  
მომავალში.

სანამდე მივიდა კაენი — კაცის მკვლელი,  
სადამდე შეადგა ცოდვების მორევში ფეხი,  
ატომური ბომბი — კაცობრიობის მტერი,  
გენური ინიციატივა — გლოვაა ლმერთის.

## უპატრონო

უპატრონო ლეკვი  
ებლანდება გამვლელს.  
უზარმაზარ აღმართს  
ზიგზაგებით აღევს.

ვინმეს კარზე ცივ რძეს,  
სამოწყალოდ დალევს  
და ცხოვრებას ასე  
ალალბედად გალევს.



## რუ

რუ.  
ანკარა,  
კარქამა.  
ნანწალა,  
წყალწყალა.  
ხმამაღლა,  
ხმადაბლა.  
ჩანჩალა,  
ჩქარ-ჩქარა.  
ჩხმახა,  
ჩახჩახა.  
ჯანჯალა,  
ჯაყჯაყა.  
ქათქათა,  
ქაფქაფა.  
ფანფალა,  
ფარფატა.  
ცანცარა,  
ცალ-ცალა.  
ტანტალა,  
განგანა.  
ნარნარა,  
ყანყალა.  
ხარხარა,  
ლარ-ლარა.  
დამშრალა,  
გამქრალა... .

## ნეარო

ცახცახა,  
კანკალა,  
რაკრაკა,  
ტარტალა,  
ლაქლაქა.



## გილიკი

ბილიკი,  
გვირისტი.  
ალმა,  
დალმა.  
მარცხნივ,  
მარჯვნივ.  
ზევით,  
ქვევით.  
შვეული,  
ხვეული.  
გველური,  
ცერული.  
ბებრული,  
ეული.



## ზომიერება

მარხვით, დათმობით, თავშეკავებით  
 ღმერთი გვასწავლის სწორად ცხოვრებას.  
 რატომ გვაკლია ზომიერება  
 და ვანადგურებთ ნაკურთხ ქონებას.

რა შეედრება ბუნებრივ ტყეებს,  
 აქოჩრილ მთებს და მჩქეფარ ჩანჩქერებს,  
 ზურმუხტო ფერებად გადაშლილ ველებს  
 ნუ ვანადგურებთ... ნუ ვანადგურებთ.



## აპრილის წიგნები

თუ გადავურჩი აპრილის წვიმებს  
 სიცოცხლეს მერე  
 რა დაასრულებს!  
 თუ გული ამდენ განცდას გაუძლებს  
 მის ძგერას მერე  
 რა დაადუმებს!  
 თრთოლავს ბაგე და ცას შესჩურჩულებს:  
 — ღმერთო მიშველე,  
 ღმერთო, მიშველე!



## საგვარეულო

ერი, ბერი.  
ვაზი, ზვარი.  
ხმალი, ფარი.  
თამარი, ტაძარი.  
ნარნარი, ლამპარი.  
ცისარტყელა, ცისახელა.



## მცვალეობა

იცინიან კვირტები,  
მანჭიობენ ტოტები,  
დიდგულობენ ყლორტები,  
ვალსს ცეკვავენ ფოთლები.

ჩურჩულებენ ხავსები,  
ჭორაობენ ფესვები,  
ფითოდებიან ქერქები,  
მალლდებიან ხეები.



## ზარები

რაღაც ზელვთიური,  
რაღაც მაგნიტური,  
რაღაც ზეციური,  
რაღაც მაგიური.

რაღაც დიდებული,  
რაღაც კურთხეული,  
რაღაც დაფარული,  
რაღაც დაზაფრული.

დიდნი, დალეული,  
უმრნმესი, გრძნეული,  
რეკს სულისეული,  
სამრეკლოსეული.

## ქარი ქრის

ქარი ქრის და  
ხეს ფოთლები არა აქვს.  
ქარი ქრის და  
რა წაილოს, რაც არ არს.

ქარი ქრის და  
რა მიაქვს, და რა არა.  
ქარი ქრის და  
რა მოაქვს, და რა არა.

ქარი ქრის და  
ხან დააქვს, და ხან არა.  
ქარი ქრის და  
სად წავა, და სად არა!



## შავთეთი

შავი ღამე და  
თეთრი ღრუბლები,  
თეთრი ღრუბლები...  
ცაში.

შავი ღამე და  
თეთრი ტოტები,  
თეთრი ტოტები...  
ბალში.

შავი ღამე და  
თეთრი მკლავები,  
თეთრი მკლავები...  
მკლავში.

შავი ღამე და  
თეთრი ფარნები,  
თეთრი ფარნები...  
გზაში.

შავი ღამე და  
თეთრი ფიქრები,  
თეთრი ფიქრები...  
სახლში.

## გეულებს

სისხლით ქართველი, გენით ქართველი,  
ბურჯად დამდგარი სხივი ნათელი.

შენ ტყის სუნთქვა ხარ ტაშისკრის მთების,  
გადმოდინება კამკამა წყლების.

სულით სპეტაკი, მკლავით ძლიერი,  
გულით ბაჯაღლო, სულისმიერი.

ერთი ალალი, უბრალო ბიჭი,  
შენი სითბოთი თავადვე იწვი.



## შემოდგროვის ეტიული

გაფითრებული ფოთოლი თრთის მუხის  
ტანზე,  
ხვენეშის, ზანზარებს.  
უკანასკნელ სალამს უძღვნის მზეს  
ქვეყანაზე...  
კვნესის, ცახცახებს.

გააფრთხებით თავს ატყდება ლანდი  
სიკვდილის,  
არხევს, აწვალებს  
და იმ მტარგალს, სულის პრძოლა,  
ლონემიხდილის  
აგზნებს, ახარებს.

ჰა, კიდევაც ბოლო მოუღო ულმობელად,  
უღვთოდ, უწყალოდ.  
ქარს გაატანა, მიწას დაამხო შორს, ველად,  
უხმოდ, უჯავროდ.  
ცივი სხეული, გაქვავებული ფიქრებში  
კრთება, დუნდება.  
გაშიშვლებული, გაშეშებული დგას ტყეში,  
ჭკნება, ხუნდება.

## ქართული მინა

თუ ცამ ღვთიური ცრემლით დამნამა,  
ქართულმა მიწამ მიმღერა „ნანა“,  
შევერწყმი ჩანჩქერთ, თუნდ მიმტროს  
ცამან,  
მე ნარვიტაცებ მზის სხივებს თანა.

კუპრივით შავი მახსოვეს ის ღამე,  
თითქოს ვარსკვლავებს სწყენოდათ რამე,  
უჩუმრად სადღაც გაპარულიყვნენ,  
როს ვპაასობდით ოცნება და მე.

უცებ დანამა ცამ არემარე,  
მთლად დააძინა მთვარე — მთვლემარე,  
მე, ზეცა მოკვდავ გედს შევადარე  
და დავგმე იგი — ღამე მკვნესარე.

წვიმამ თუ მზიურ ცრემლით დამნამა,  
მშობელმა მიწამ შემითხა „ნანა“,  
შევერწყმი ჩანჩქერთ, შემინდოს ცამან,  
როს ნარვიტაცებ მზის სხივებს თანა.

## ღრუბელი

იყო მზე და იყო წვიმა,  
გაჭკიოდა ქარი ცივად  
და კვამლისფერ ღრუბელს ცაზე  
გადაჰკროდა ბინდი თვალზე.  
შორს მიჰქროდა, ვითარც ზვავი  
აწყვეტილი ჰქონდა თავი.

ღრუბლის ფერთა თალხი ღელვა  
ცისარტყელამ დაამშვენა,  
მერე, ჩუმად სადღაც გაქრა,  
მოიტაცა, ალბათ, ქარმა  
და იმნამსვე ღრუბლის ქულა  
მის მდევარად მოიქუფრა.

კვლავ განახლდა მისი ლტოლვა,  
ლაშვარდოვან ცაში სრბოლა  
და ღვთაებრივ დახატული,  
ვით ამორძლის მხნე ასული,  
შორს მიჰქროდა, ვითარც ზვავი  
აწყვეტილი ჰქონდა თავი.

## მუსიკა

თეთრ კლავიშებს მოწყდა ბგერა  
და ჰაერში იწყო ფრენა,  
ჰანგთა ფრთების აჰყვა რხევა,  
ლალი ქროლვა ნაზად, ნელა.

დავემონე მათ ხმას მეცა,  
ავაყოლე გულის ფერქვა.  
რამ შეშალა, უცბად, ნეტა?  
ყურთასმენა რომ დასეტყვა?

აღარ ჰქონდა გრძნობას ტევა.  
ალბათ, მიტომ ატყდა ღელვა.  
აეშალა ფიქრთა რევა  
და შეწყვიტა ბგერა ფრქვევა!



## ზმანება

ზღვა ბობოქრობდა შავად ელვარე,  
ქარიშხლის შფოთვას არ ჰქონდა  
ზღვარი,  
ლამის წყვდიადში კრთებოდა სახე,  
ვითა ვარსკვლავი ცად მოცინარი.

უდაბურ იყო ის არემარე,  
მხოლოდ ნისლივით, როგორც ზღაპარი,  
მანათობელი ეგ შენი სახე,  
ისახებოდა, ვითარც ცისკარი.

მაგრამ აზღვავდა ტალღა მშფოთვარე,  
ქარიშხლის ქროლვაც გახდა საზარი,  
წამს თვალთა ჩემსას წარსტაცეს არე,  
სადაც ზმანებდა სახე — ლამპარი.



## გერბისა

ძვირად უღირს და ძვირად ჰყიდის  
ყველაფერს:  
სახლს, წიგნს, ჭურჭელს, ხალიჩას,  
ჭალებს და ავეჯს.  
სული? — დიდიხანია მიჰყიდა სასმელს,  
გული? — სრულად მიუძღვნა ბოჰემურ  
ქალებს.

აწ აღარ იცხოვრებს, აწ მხოლოდ  
იცოცხლებს;  
სიკვდილის შიში მას არასდროს  
იპყრობდეს;  
თვის უმომავლობას მომავლად  
იმყოფებს: —  
ღვინოში შთაინთქეს, არაფერს  
ფიქრობდეს.



## უკანასკნელი ამოსუნთქვა

შემოდგომის უკანასკნელ ფერთა ციიაგს,  
ნაცრისფერად დაბურული წვიმის ნისლი  
გადაფარავს და უბნელებს თვალის ჩინსა,  
რომ ნაშალოს კეკლუცური მისი ხიბლი.

წვიმის წვეთებს მიაქროლებს ქარი  
სადღაც,  
სული შფოთავს, სასწაულად ელავს ზეცა,  
მეხის გრგვინვა აიტაცა მიწამ და ცამ,  
ქარიშხალმა გამიტაცოს ნეტა მეცა.



## აპრილის მთვარე

მოდის, მოღელავს ზვირთების ცეკვით  
მტკვარი ზვიადი, გულამღვრეული.  
გადადის ნაპირს მისი შეფეხი —  
გულის სიღრმიდან ამონთხეული.

ის, — შებოჭილი ამირანივით,  
გააფრთებული იბრძვის ეული.  
ცდილობს გაწყვიტოს თვისი ბორკილი,  
მის ტანს ჯებირად შემოხვეული.



## იის ავადმყოფობა

ფოთოლს აუტოკდა ძარღვი,  
სიცხემ აუწია იას,  
სუნთქვა შეუგუბა ნისლმა,  
ცვარით მოიჩითა სისხამ.  
სული დაუნამა ჟინუვლამ,  
ბაგე გაუგრილა წვიმამ.  
კანი დაუზილა სიომ,  
ფესვი დაუთბილა მიწამ,  
ჯანი გაუმაგრა დილამ.



## ბაკურიანი

ბაკურიანი —  
ფიფქთა რიალი,  
ცა — დარიანი,  
მზეს ასდის ალი.  
ბაკურიანი —  
ველი ტრიალი,  
მხარე მთიანი,  
ჩუმი, ტიალი.  
ბაკურიანი —  
ყვავთა ხრიალი,  
ცა — კვამლიანი,  
ნისლი — მტირალი.  
ბაკურიანი —  
ვარსკვლავთ ციალი,  
ხენი მხრიანნი,  
მთვარის ბრიალი.  
ბაკურიანი —  
თეთრი, ფთქიალი.  
ტყე მადლიანი,  
ხეთა ბრჭყვიალი.  
ბაკურიანი —  
მიწის კრიალი,  
ხმანნი ხმიანნი,  
მთიდან ქრიალი.

## პოტანიპურ ბაღში

ძალლი ყმუის შემზარავად,  
ბაღში სადღაც.  
შიში მიპყრობს შემპარავად,  
ტანში ზარად.

რად გაჰკივის ცრემლნარევად?  
მგლისა დარად?  
ვინ მოკვდება ნაჩქარევად?  
დასანანად?

იქნებ უცხო ლანდებს ხედავს,  
შეუცნობარს.  
იქნებ გლოვობს ცოცხალ ცხედარს,  
შეუნდობარს?

უწინ კლავდინენ მტირალ ძალლებს, —  
„მაუწყებლებს“.  
მით შველოდნენ განნირულებს,  
„დროგასულებს“.

## ამილის ცამოტირება

ზაფხული იდგა წყნარი, დამთბარი.  
მზე ახუნებდა მიწას მადლიანს.  
მშვიდი ამინდი იყო დამდგარი  
და არ უგავდა პირი დარდიანს.

ცრემლით აევსო უცბად თვალები  
და წამწამებზე გადმოეკიდა,  
ჩამოუგორდა ლანვებზეც, მაგრამ ...  
თვალები სწრაფად ამოიწმინდა.

და შედგა ისევ მშვიდად და წყნარად,  
გადაურბინა კრთობის ნიავმა.  
გაბმით ჩურჩული განაგრძო, კვლავაც, —  
ხეთა მწკრივების ფოთოლთ შრიალმა.



## ზღვა

ზღვა ლივლივებდა ლურჯი,  
ტალღა ვიდოდა წყნარი  
და თოლიების გუნდი  
ფრინავდა ხმაჩამწყდარი.

ცა იყო მკვეთრად ლურჯი,  
ლურჯი ხდებოდა წყალი.  
ნამს, მზის ნასროლი სხივით  
ზღვაზე ავარდა ალი.

იყო შეჯიბრი ფერთა,  
განზე გამდგარი დარი, —  
ზღვას არ აძლევდა ნებას  
ეცვალა ფერთა ჯარი.



## თეთრი ლექსი

შემოდგომა  
და მე უკვე გაზაფხულს ვნატრობ.  
შენ, ძველ მეგობარს, მოგმართავ ქარო,  
ყური მომაპყარ ცელქო, ნუ ლალობ.  
მაკულდება წლები,  
ალბათ, მიტომაც შემოდგომა ბარდება  
წარსულს  
და მით ცხოვრებას ატყდება ერთი,  
ერთ დროს სიცოცხლით გამთბარი ტოტი.  
ხარ უკვდავება და ჩემს შემდეგ  
კვლავაც იპოვნი თაყვანისმცემელს.  
ო, სული ჩემი სიკვდილს როდი აპირებს,  
მხოლოდ ეძახის გაზაფხულს, ზაფხულს.  
სურს შემოდგომა განდევნოს გარეთ.  
ჰო, ეშინია ისე დააკლდეს ჩემს სულს  
სიცოცხლე,  
რომ შენც შემძულდე, აღარ მიყვარდე.

## რვეული

ფურცლები ... ფურცლები ... რვეულის  
ფურცლები ...  
ნაცნობი ნათება სპეტაკი ფურცლების ...  
გვერდები ... გვერდები ... ქალალდის  
გვერდები ...  
პწყარები ... პწყარები ... პწყარები  
სიტყვების ...

და ჩემი ფიქრები... ველური  
სიტყვები,  
ვით მთაში გაზრდილი მოკვდავი  
ფიჭვები ...  
ფურცლების უთქმელი, უსიტყვო  
ფიქრები ...  
მე მათი მორჩილი ყოველთვის  
ვიქნები!



## სიყვარული

არ გეგონო ბრმად მორჩილი შენი,  
მე მონა ვარ სიყვარულის ჩემის.  
მზის სხივები ჩაფრქვეულა ხევში,  
მათი სითბო დავლანდე შენს თმებში.

ცისფერ ნისლში გახვეულა მთები,  
სევდა ბურავთ მაგ შენი თვალების.

ველად ნამი გაბნეულა ბევრი,  
მიულია შენი სახის ფერი.

ო, კლდის კალთა ჩანგრეულა ქვევით,  
მოქუფრულა ვით შენი წარბები.

ეს ზღვის ტალღა დამსხვრეულა ღელვით  
თუ გრძნობაა დაკარგული ჩემი?

წრფელ ფიქრებში გარეულა ეჭვი,  
ამოვძირკვე სიყვარულის ფესვი.

არ გეგონო ყრუდ მორჩილი შენი,  
მონა ვიყავ სიყვარულის ჩემის.

სანთელს დაედგა ნათლის ნათელი,  
ცხელი ცრემლებით ტირის სანთელი.

## გეოცე საუკუნე

„ეძიებდე და ჰპოვებდეო“...  
საძიებელსო! —  
ამ ეპოქისთვის დაუზათლავს  
უკულმართ ბედსო.

გაანჩხლებული, ნერვებაშლილი  
არის წელი  
არაკეთილი, არა ბოლო, არცა  
პირველი.

კაცობრიობა შვებას პოულობს  
ძიების კვალში  
ხან ერისკაცში, ხან ღმერთსა და  
ხან კაცის კვლაში.

## გადაირით

ცას აწვება დარდები,  
დარო გემშვიდობები,  
საცაა გაავდრდები,  
დაგრჩენია წამები.

ამინდო, დარმაინდო —  
არაფერი დაინდო,  
არც რა არ გადაიდო  
ზეციურო რაინდო.

ბოლმა გულს ჩაიგუბე,  
დაიჭექე, იჩხუბე,  
სულ აავსე კლდის უბე,  
აამდვრიე წყლის გუბე.



## თითრ თოვლზე

თეთრ თოვლზე მოსასხამით  
ეშმაკს თუ გაუვლია,  
თეთრ თოვლზე შავი კვალი  
მაინც ვერ დაუტყვია.

თეთრ თოვლზე სხივთა ფრქვევით  
ანგელოზს ჩაუვლია,  
თეთრ თოვლზე ფეხთა მტვერი,  
ფიფქებად დაუყრია.

ეშმაკსა კაცის გული  
საჯიჯგნად დაუგდია,  
ანგელოზს მისი სული  
ზეცაში წაუღია.



## გოდება

სანთელს ნაკადად ჩამოსდის ცრემლი,  
მიწას — მდინარე გადმოლვენთილი.

გამოასხივა სიკვდილი გონმა,  
ქვეყნად დასახლდა ბოლმა და მტრობა.



## ზღაპრული სამშობლო

ჩემი სამშობლო  
ფასკუნჯა მხარეა,  
ამოსაცნობი  
ფერთა არეა.

ზღვად სირინოზნი  
უსხედან ნავებს,  
ზღაპრად ჰყვებიან  
კოლხეთის ამბებს.

## 603როზი

ტირილი გსურდეს და  
ცრემლი არ გდიოდეს,  
კივილი გსურდეს და  
ხმა არ მოდიოდეს.  
სიცილი გსურდეს და  
ლიმილიც გიჭირდეს,  
სიკვდილი გსურდეს და  
სიცოცხლეც... გწყუროდეს.



**ძარი**

ავი, ქარი.

ძონძები, კონკები.

ტოტები, ფოთლები.

მოგლეჯილი, მოტეხილი.

მოფხრენილი, მოდღლეზილი.

მოხვეული, მორეული.

მოქცეული, მოქედნული.

მოქნეული, მოხეული.

შეყვარებული, ხელალებული.

შემართებული, შეჯახებული.

შეკავებული, შეფარებული.

შემაღლებული, შელაღებული.

ფერარეული, თვალამღვრეული.

შედარებული, შეხამებული.

**დილა**

ტყეში,  
ხევში.

ნამი,  
ცვარი.

წინწკლები,  
ციცქნები.

ჩაბნეული,  
ჩაპნეული,  
ჩაფრქვეული.



## პეიზაჟები

ძნა.  
ხე, ტყე.  
ია, ღვია.  
ვარდი, ხავსი.  
ნამი, ცხვარი.  
ზამბახი, ბალახი.  
მარცვალი, თავთავი.



## აუზაზეთი

სიკვდილს ამშვენებს ტკიფილი სულის,  
ბინდი ადგება ცრემლიან თვალებს,  
სახლებს დააწვათ სიცოცხლის მწუხრი,  
ვინ გადაიხდის გოდების ვალებს?

ვერ დაივიწყებს ტყვიების ქუხილს  
ქალაქის სული — ნალველით სავსე,  
დაუმონია სატანას სურვილს,  
ხორცისმჭამელსა და ბოლმით სავსეს!



## აპრილის ტიტა

გულს გადამიხსნის ტიტა შუადღისას,  
მეც ვუამბობ ამბავს ჩემი ქვეყნისას.  
თუ სამშობლო სისხლს თხოულობს  
ხალხისას,  
სანაცვალოდ — ტიტა დასთმობს  
თავისას.

არ იჯერებს დაუჯერელს ხვალისას,  
არ ელოდა ბედის ბრუნვას საშიშარს;  
უმანკოთა სისხლის ნთხევას დავისას,  
გადაფარა ბრძოლის ველი ფაქიზად.

## შესვარებულები

მკერდი მკერდს ათბობს,  
გული გულს უსმენს,  
ღანვი ღანვისა სწვავს,  
ტუჩი ტუჩს ეკვრის.  
ხელი ხელს ეძებს,  
მზერა — სამალავს ...



## სეზდა

ქარი მომვარდა, გამძარცვა,  
სევდიანობამ ჯვარს მაცვა.

ეს კაეშანი — უნორმო,  
უსაფუძვლოა, უხორცო.

გაუფასურდა სიცოცხლე,  
გაუფერულდა ბოლომდე.

სული დავცალე ფსკერამდე,  
გული დავწრიტე წვეთამდე.

არ ვცოდავ: სიკვდილს არ ვნატრობ,  
მაგრამ სიცოცხლეს არ ვნაღვლობ.

სასოწარკვეთა დიდია,  
ცხოვრება ძაფზე ჰყიდია.

წლები დაბერდა და მოკვდა,  
გული საგულეს არ მოხვდა.

## დილა

როს ლაუვარდად იქცა ზეცა  
და ღრუბლებში კვლავ დაირნა,  
სხივთან ერთად იშვა მზეცა  
და... გაფითრდა დედამინა.

მზემ ამბორით გამაბრუა,  
დამიკუცნა თავზე თმები.  
შმაგ ალერსით გააბრუა  
გაყინული თეთრი მთები.



## ორსახოვანი

ბუნება მნგრეველი,  
ავ ძალთა მპყრობელი,  
დაუბერებელი,  
სამყაროს მფლობელი.

ის ჩვენი მშობელი,—  
ცრემლდამაშრობელი.  
ამაცილებელი  
გულსამძიმებელის.

დედა და მშობელი,  
ზოგჯერ მგოდებელი,  
თვის შვილთა მმუსვრელი,  
უგულო მლოცველი.

დაუმადლებელი,  
კეთილმწყალობელი,  
დაუზარებელი,  
ცუდის მშორებელი.

ძალთაუღებელი,  
ჭირთუმთავრებელი,  
პირმიუმხრობელი,  
კაცთდაუნდობელი.

## სიჩუმის მუსიკა

აკორდები მიეყინა კლავიშებს,  
მყუდროება ჩაეკონა სიცივეს,  
უჩინარიც ალარ არწევს ტირიფებს  
და სიჩუმე უკრავს კვლავაც იგივეს.

დახშულ ხმათა უსასრულო ქროლვაში  
მესმის ჟღერა მე პოეტის ჩანგისა.  
გლოვა უხმო, ჩაკვნესებულ ოხვრაში,  
თან ტირილი ტატოს ობოლ კალმისა.



## გვილო

დღეს შენს სახელზე  
დავანთებ სანთლებს,  
ღმერთს კარგ მომავალს  
შევევედრები.  
თაფლის სანთლები  
მომყიდა ქალმა,  
თან შემომლიმა  
თვალვედრებულმა:  
— მეორე შეკვრაც  
აიღე, გთხოვო!..  
მერე დამლოცა:  
— იხარე, შვილო!  
სუყველას შენთვის  
დავანთებ ახლა,  
ხელებს ავაპყრობ  
ზეცისკენ მაღლა.  
შენს კარგად ყოფნას  
შევთხოვ ზეციერს.  
შენზე ლოცვისას  
არ დავლლი იერს.  
სიტყვას ძალა აქვს,  
სანთელს – ნათელი,  
ლოცვას ძალა აქვს  
მადლის გამცემი.

## გურიის სურველება

მამაპაპური წაბლის ხის სახლი  
მიმოქარგული პირბად აივნით,  
თლილ ქვის ქუსლებზე მყარად  
დამდგარი  
გასცექერს შარაგზას თუ ვინ გაივლის.

ძველისძველია დარბაზი მარნის,  
ალშებოლილი ხის შავი კედლით.  
იჭვარტლება შუაცეცხლი მარნის,  
დგას წვრილფეხება მაგიდა გვერდით.

გარს, კონდარის სქელი ფარდაგი,  
მირონნაზავი ჭის ცივი წყალი.  
თხემლით, „ადესა“ ზეცისკენ ადის,  
ზედ იბუჩქება, ვით ბუდე მრგვალი.

აქ ხომ სიძველე ზღაპარს მაგონებს,  
ბუხარს შეუნთებს ბაბუას ლანდი.  
კეცზე ნელდება ცხელი ღადარი,  
მჭადს ზედ ახმება ფოთოლთა თარგი.

## ზამთარი სოფელში

ცეცხლი კვლავ ცეკვავს ცეცხლურსა,  
ფერფლავს დროს წუთისოფლურსა.

ალი აწვდილი ცისაკენ,  
გზასა აპინდებს მისაკენ.

ფიფქსა დასხმია თავს რეტი:  
ვეღარ იხილოს ცა მეტი.



## ციხი

გრგვინვამ შეძრა ცის კამარა.  
გაუსკდათ კვირტებს გულები.  
მიწას ბერმუხა დაასკდა,  
წვიმა იღვარა ულევი.

მთის ქიმზე გადმოეკიდა  
შავი ღრუბელი — ნაბადა.  
ხევში კლდეებზე დაიმსხვრა  
მდინარე ლალი — ნავარდა.



## შამთასვლა

ენები,  
ერები,  
გვარები...

სოფლები,  
ქვეყნები —

გამქრალა...  
გამწყდარა  
უამთასვლა.



## გურია

ჭალაში თხემლის ხენია  
ან ნორჩი, ანდა ხმელია.  
თითქოს შეყრია სენია,  
ციცქნა რუ ისე ხელია.

აქ ბალახებში გველია,  
ჩირგვებში გარბის მგელია,  
დაძრნის იქ, სადაც ველია  
ჭალის მშიერი მელია.

ზეულრან ტყეში ხევია,  
იქ მაღლა ცხოვრობს დევია,  
სიმწრისგან სულმთლად სველია, —  
შეშინებული ბელია!



## წარსულში

ბილიკი იწვის მზეზე,  
ცხენი ფრუტუნებს ხევ-ხევ,  
ფლოქვები ამსხვრევს კლდე-ქვებს,  
გაუმარჯვიათ მხედრებს.

მხდალს ომში, ბრძოლის ველზე,  
მზერა გაურბის გვერდზე,  
გმირთ პირქუშობა შვენის,  
დროშა ფრიალებს ზეზე.



## მხატვრის ოცნება

სქელ, გაშლილ თმებს და მიმქრალ  
წარბებს  
და შავ ნაღვერდლად ქცეულ თვალებს,  
შენს ყაყაჩოსფერ კაბის კალთებს  
და ნაქანდაკებ ლამაზ სახეს  
დავუძახებდი ჯოკონდას სახელს,  
მის სიმბოლოდ და მისასა სახედ,  
დავუნთებდი ოცნებას სანთელს,  
დაგიგებდი სიყვარულს მახედ.



## რჩევა

როცა ზამთარი ზამთარს არა ჰგავს,  
არ სუსხავს, არც თოვს და არცა ყინავს,  
მაშინ გაზაფხულს ძალა არა აქვს,  
ოდნავ იფეთქებს და სულსა ღაფავს.

როცა სურვილი სურვილს არა ჰგავს,  
ხან მოგასვენებს და სულ კი არ გწვავს,  
მაშინ სურვილი ოცნებასა ჰგავს:  
მას რეალობა აახდენს, შთანთქავს?

დღეს თუ გოლგოთა გადავიარეთ,  
ნუ შეგვაშინებს ბედის სიმკაცრე.  
ეკლიან გზებით გამოვიარეთ,  
მნამს, ქართველობა გახსნის ცის  
კარებს.



## ძურაში

მოდიოდა გოგო ხორბლისფერი,  
თვალი ჰქონდა ლურჯი ცისა ფერი,  
თმა ღელავდა ლილა-ჩალისფერი.  
ჩამიარა... ვითომც, არაფერი.

უღიმოდა ირგვლივ ყველაფერი,  
უყურებდა ზეცა — რუხი ფერი,  
ქუჩა იყო ზამთრის, ნაცრისფერი,  
მოდიოდა გოგო ხორბლისფერი.



## სოფლის ჩანახატები

შორს სიცივისგან მთები გალურჯდნენ,  
მათზე უფროსნი შეჭალარავდნენ.

ეს დალოცვილი, მარადმნვანეა  
სოფლის ბალახი — ჯანით სავსეა!

ჩაი ყვავილობს, ზამთრისპირია,  
მზე ისე ათბობს... გადაირია!

მსუყე ჰაერი ავსებს ქვეყანას,  
თავ მოძრობია ჩალისფერ ყანას

და ზვინებია ეზო-ყურეში,  
ჩიტი ალარ მღერს იმ ძველ ბუდეში.

ჩამოლამდება და ცის კამარა  
დარჩება, მხოლოდ, ვარსკვლავთ ამარა.

აგიზგიზდება ცეცხლი ბუხარში,  
დაისადგურებს სიჩუმე კარში.

## ზაფხული ზღვაზე

აისი,  
დაისი.

მარტი,  
აპრილი,  
მაისი.

ნისლები,  
წვიმები,  
წინწკლები,  
ფიქრები.

ფანჯრები,  
ტალღები,  
ქაფები,  
ნავები,  
ზათქები.



## სოზელი

ნამი, ცვარი...  
 ჰანგი, ჩანგი.  
  
 ველი, ცელი.  
 ცეცხლი, ღვენთი.  
  
 ქორი, ქოხი.  
 შოთი, დოქი.  
 ფოცხი, თოხი.  
 მოლი, თოვლი.  
  
 ზედაშე,  
 ქვევრსავსე.



## ნიგა

ქუხს.  
  
 ელვა,  
 ჭექა.  
  
 გრეხვა,  
 ხვევნა.  
  
 ფეოქვა,  
 ღელვა.  
  
 სეტყვა,  
 ხეთქვა.  
  
 ფერთხვა,  
 ცვევნა.  
  
 კვნესა,  
 ხვნეშა.

## შავ დღეებს

მე მინდა თქეში მცემდეს სახეში,  
მსურს მზის სხივებმაც მომიალერსოს.  
შემდეგ? – საფლავის სიმყუდროვეში  
ქვეყნის ვარამი ცრემლად დადნესო!



## ზამთარი

ზამთრის მტვერი თეთრ ფიფქებად  
ადევს ხეებს,  
ზამთრის ცრემლი ლოლუებად  
ჩასდევს კლდეებს,  
ზამთრის სუსხი უმოწყალოდ უტევს  
ტყეებს,  
ზამთრის ბოლმა უხალისოდ უშვებს  
დღეებს.



## იაღაღებზე

მთა.

ცვარი,  
ცხვარი.

ნისლები,  
ფიქრები.

სალამური,  
საამური.

## ომის დაწევება

ცა, მთა, ზღვა.  
დენთი, ცეცხლი, ცრემლი.

ქალი, კაცი, ბავშვი.  
ნყალი, ნავი, მკლავი.

ხითხითი, სიცილი, კისკისი.  
ყვირილი, წივილი, კივილი.  
სირბილი, ტკივილი, სიკვდილი.

აფხაზეთი, სანატრეთი,  
სალალეთი, სავანეთი.  
აფხაზეთი, სატანეთი,  
სატანჯვეთი, სამარეთი.



## ჟირვების ღამე

შიში,  
ფიქრი.

ღამე,  
მთვარე.

ხმელეთი,  
ბნელეთი.

უკუნეთი,  
ჯურლმულეთი.

ქინქლები,  
ჩრდილები,  
ჭინკები.

## მოსალამოვდა

მოსალამოვდა.  
ცა ლურჯად აენთო  
და შავად ჩაქრა.  
ჩამობნელდა და  
ცად მთვარე აინთო, —  
უკუნი გაქრა.

მოსალამოვდა.  
ფარნები აინთო,  
ბინდი გაშავდა.  
ჩამობნელდა და  
ლანდები დაიძრა,  
თვალი დაიბნა.



## ქალი მთაზე

დაბლიდან არ ჩანდა ბილიკი მთაზე.  
ტოტებთა ფარდაგი ეფინა მკლავზე.

ისე მოდიოდა მაღლიდან ქალი,  
ვით ნისლის ბადეში მცურავი ალი.



## სიცოცხლე წელიცადია

დროს დრო მისდევდა თვრამეტ  
წელიწადს,  
არ ვტირი წარსულს და არც  
მომავალს.  
ვიცი, ოცნება არ ამიხდება,  
და მეოცნებე ბავშვი რომა ვარ.

დროთა ჭიდილში გავა ზაფხული,  
მომიკაკუნებს კარს შემოდგომა  
და სუსხიანი ზამთრის დასასრულს  
მე მომინდება მკვდრეთით აღდგომა.



## თბილისის ქველ უბაში

აბანოთუბანი — გუმბათოვანი,  
მთად — ციხე-გოჯი, ძალგულოვანი.

გვერდს ამოდგომია სვანური კოშკი,  
კლდეს რომ გაჰყოლია, ვითარცა ყოჩი.

ეკლესიებია ღვთის სულოვანნი,  
სანთელ-საკმევლით სურნელოვანნი.

ლოცულობს ერი თვითგადარჩენაზე,  
სული კვლავ არ დრკება ბედის ღადარზე.

ხატთა მზერა წყაროა შთაგონების,  
ზეიმია გარდასულთ აჩრდილების:

არღნის ხმაზე მღერის ყარაჩოლელი,  
შალახოს კი ცეკვავს კინტო ვერელი.

## გზის ჩასვლა

ნაპირს დაგორავდა ქვა,  
მკლავებს მილოკავდა ზღვა,  
ტალღებს მიჰყვებოდა თმა,  
თავზედ მევლებოდა ცა.

ნათელს ათავებდა დღე,  
ფოთლებს აძინებდა ხე,  
სხივებს იკეცავდა მზე,  
სიზმრებს მიგზავნიდა მე.



## ქარი

თმებგაწენილი დარბოდა ქარი,  
სიმდაწყვეტილი ქნარით.  
ჩემს აივანზე იყუჩა წამით  
და გაიპარა კრძალვით.

სადღაც შორიდან შემეხმანა  
ხმაჩახრენილი, მკივანა.  
არ დაცხრა ავი, გამომიარა,  
კვლავ თავი იგიჟიანა.



## ლოცვა

ლმერთო გვაშორე ახალ ომს და შიშს,  
ლმერთო, გვაცილე გვემასა და სისხლს.

ლმერთო, დაგვიცავ შეცდომებისგან,  
ლმერთო, დაგვიხსენ შვილთა წყევლისგან.

ლმერთო, გვასმინე ხმა ჭეშმარიტი,  
ლმერთო, გვანახე გზა ერისა ხსნის.

ლმერთო, გვაცხოვრე ხვალის იმედით,  
ლმერთო, გვაცოცხლე თავისუფლებით.

ლმერთო, მოგვეცი ერთიანობა,  
ლმერთო, მოგვიხსენ დაძაბუნება.

ლმერთო, ნურასდროს ნუ მიგვატოვებ,  
ლმერთო, ურნმენოდ ნურც როს  
დაგვტოვებ.

ლმერთო, გვიმრავლე მილიონები,  
მილიონები ქართველი ერის.

## ღვართო

ღმერთო,  
მაპატიე, მაპატიე, — სიყვარული მაპატიე!  
ღმერთო,  
მაპატიე, მაპატიე,  
შეშლილობა მაპატიე!  
ღმერთო,  
შემიცოდე, შემიცოდე, —  
დატანჯული შემინანეე!  
ღმერთო,  
განმარიდე, განმარიდე, —  
ფიქრებისგან განმარიდე!  
ღმერთო,  
განმარიდე, განმარიდე, —  
სიშმაგისგან განმარიდე!  
ღმერთო,  
დამიცავი, დამიცავი, —  
ღელვათაგან დამიცავი!  
ღმერთო,  
დამიცავი, დამიცავი, —  
ვწეპათაგან დამიცავი!

ღმერთო,  
მაპატიე, მაპატიე —  
სიყვარული მაპატიე!  
ღმერთო,  
მაპატიე შეშლილობა,  
სიგიჟე მომიტევე,  
ღმერთო!..



## ვარსკვლავთა ქორწილი

ქორწილი ჰქონდათ ვარსკვლავებს,  
ჩამომსხდარიყვნენ ზეცაზე.  
თამადად მთვარე დაესვათ,  
მაყრიონს მღერდნენ თვის ხმაზე.

ზოგი დათვრა მნათობთ ცქერით,  
მოსწყდა ადგილს, ჩამოვარდა.  
მკვესი წახნაგების მზერით  
გული ზევით ამოვარდა.

მზე - პატარძალი  
გამთენისას მობრნეინდა.  
თვალისმომჭრელი კაშკაშით  
ვარსკვლავები გააფითრა.



## გურიაში

მამლებმა შეიკივლეს გათენება,  
ტურებმა შეიცხადეს დაღამება.

ალქაჯებმა მიატოვეს ქოხმახნი,  
სათითაოდ შეაშინეს ოჯახნი.

ბინდში გაიპნენ მხეცთა შუქ-ჩრდილები,  
ზე აღდგნენ ღამეული აჩრდილები.



## ვართაზია

ჩავიძირები ალვის ხის ტოტებში,  
გამოვეხვევი მაისის ფოთლებში.

დავახამხამებ ფოთოლთ, ვით  
წამწამებს,  
ტოტებთა მკლავებზე მივლულავ  
თვალებს.

გაფრენას დაპირებს ქარის დროს ხე,  
გაყოლას მოვინდომებ უმალვე მე.

\*\*\*

ეს რას დამცინის ამინდი?  
სულ შემიცვალა გეგმები.  
ნეტა, სული რომ მოითქვას  
თუ შეჩერდება წვეთები?

რამდენი წვიმის მომსწრეა  
ეს მინდვრები და ტყეები,  
მხუთავი თავსხმის მოწმეა  
ვიწროყელება ხევები.



## 2008 წლის ცხელი ზაფხული

თავზე გადაგვიფრინა თვითმფრინავმა,  
ყურები დაგვიხშო ზეცად გრიალმა.

სული ბოლომდე შეიძრა ტკივილით,  
ზეცა შეძრნუნდა ანგელოზთ კივილით.

რუსმა გადათელა ძმობა და ჯვარი,  
სისხლად გვანთხევია ბოლმა და ჯავრი.



## პუნქტის პუნქტი

ნაპირი შეერებს უთვლელად ტალღებს,  
დიდება იხვევს მახრიობელ ჯაჭვებს.

თოვლი ვერ ფარავს დარწეულ ტალღებს,  
სიცოცხლის ნებას ბუნება ბადებს.

ცა გადამალავს რიურაჟთ ვარსკვლავებს,  
კლავს ბედისწერა ერის თავკაცებს.

მდორე მდინარე, მჩქეფი ჩანჩქერი,  
მოკლე სიცოცხლე, ზე სულიერი.

სიცოცხლეს, გაზომილს სულ რაღაც  
წამებით,  
მისტირის ოცნება სულგანაწამები!..



## ქალბატონ ნანა ნემსაძეს

სიმპატიური  
ქართველი ქალი შვილთაშვილებით,  
სიყმანვილური  
მგზნებარებით, სიახლის მკვიდრებით.

დიდსულოვნება  
სხივად ეწება ცხოვრების ბილიკს.  
დიდბუნოვნება  
ნათლად ედგმება სიცოცხლის  
გვირგვინს.

ნიჭიერება  
გამტკიცებული გონით და ცოდნით,  
ღვთისნიერება  
ამაღლებულ რწმენით და ლოცვით.

ცხონებულია,  
ვინც გიმლერათ თქვენ იავნანა,  
მონებულია,  
ვინაც იხილა ია და ნანა.

## ომის ცეცხლი

დაინვა სხივი სანთლების ალზე,  
დაინვა გზანი მისვლის სიონზე,  
დაინვა სული ბოროტებაზე,  
გადარჩა ჯვარი კავკასიონზე.

დაინვა მითი დრაკონთ მტრობაზე,  
დაინვა ნიშა ხალხთა ძმობაზე,  
დაინვა ძალა შველა-ხმობაზე,  
გადარჩა ჯვარი კავკასიონზე.

დაინვა მიწა ქართულ მიწაზე,  
დაინვა ქმნილნი ღვთისა რისხვაზე,  
დაინვა არე სამოთხის კარზე,  
გადარჩა ჯვარი კავკასიონზე.

დაინვა გული აგრესიაზე,  
დაინვა კერა ცეცხლის სიოზე,  
დაინვა ბედი ირონიაზე,  
გადარჩა ჯვარი კავკასიონზე.

## მე პუნქტი ვარ

ჩავიბიძევ თმებში ციმციმა ვარსკვლავებს,  
 დავიდგამ გვირგვინად ოქროსფერ მთვარეს,  
 მანდილად მოვისხამ ქათქათა ჩანჩქერს,  
 კაბად მოვიჯურთავ ღრუბელთა თეთრ  
     აფრებს,  
 მკვესარე ელვით მოვჭედავ თალხ წალებს,  
 სამკაულებად ავისხამ ლაჟვარდ ტბებს.



## ნისლიანი ამინდი

დღემ ღრმად ჩამხედა თვალებში,  
 აღარ ჩანს ხენი ძაძებში,  
 ჩამოჯდა ნისლი ნავებში,  
 გული გაება ბადეში.

სხივი გაიბნა ფანტელში,  
 სული დადუმდა ღამეში,  
 ცეცხლი ჩაიწვა შუაცეცხლში,  
 ხე დაინაცრა ნათელში.



## ხატების იდუმალება

რაზე საუბრობენ ნეტა, ხატები?  
 რაზე ფიქრდებიან ნეტა, ხატები?  
 რაზე ბრაზდებიან ნეტა, ხატები?  
 რაზე გვიწყრებიან ნეტა, ხატები?

რაზე გვიღიმიან ნეტა, ხატები?  
 რაზე გვანიშნებენ ნეტა, ხატები?  
 რაზე გვფარველობენ ნეტა, ხატები?  
 რაღას შეგვისმენენ ნეტა, ხატები?

## ტირიფი

თმები გაუშლია ტირიფს,  
 ვერავინ ასწავლის ტირილს.  
 ცრემლის ტბა დაუდგამს ტირიფს,  
 ალბათ, ლამღამობით ტირის.

სევდა მორევია ტირიფს,  
 ვერ ძლევს გულამოსკვნილ ქვითინს,  
 თავი დაუხრია ტირიფს,  
 მარტო უმკლავდება ტკივილს.



## ოსმალოზე გამარჯვების ხადიგი

გაიმართა ბრძოლა ნახვეტრებზე,  
ალარ იყო მიწა თავის ფერზე,  
ტრიალებდა ცოდვა ბრძოლის ველზე,  
ძრწოდნენ მთები წამომდგარნი ფეხზე.

ბევრს თვალები დაუბნელდა მზეზე,  
ეხვეოდა გველი ვაჟკაცთ ყელზე,  
ჯამბაზობდნენ ქაჯნი ომის ცეცხლზე,  
ლოცულობდა ქართლი თავის ხვედრზე.

გადიხარა ხე შრიალით გვერდზე,  
გადიქროლა გამარჯვებამ ტყეზე,  
ზარ-ზეიმი გაიმართა მთებქვეშ  
და ლეგენდა დარჩა წაბლის ხეზე.



## ყოველთვის რაღაც

რაღაცა გვაერთებს  
და რაღაც გვთიშავს.  
რაღაცა გვაშფოთებს,  
რაღაც გვამშვიდებს.

რაღაცა გვაგიჟებს,  
რაღაც გვაწყნარებს.  
რაღაცა გვაომებს,  
რაღაც გვაკავებს.

რაღაცა გვაფხიზლებს,  
რაღაც გვამონებს.  
რაღაცა გვატირებს,  
რაღაც გვაცინებს.

რაღაცა გვახარებს,  
რაღაც გვთრგუნავს,  
რაღაცა გვაოცებს,  
რაღაც გვხიბლავს!

## განაცნალა

მაწანწალავ, ხარ ძონძთა ამარა,  
გადაგფარვია წყვდიადი საბნად,  
ფილოსოფია არ უნდა ამას –  
თანაგრძნობას და ზიზღს იწვევ თავად.

იდუმალია შენი ცხოვრება,  
სულის ტკივილი და ნეტარება,  
ვნებათ ამბოხი, თავშეკავება,  
ავადმყოფობა და შემართება.

ახ, მაწანწალავ, შე მაჩანჩალავ! —  
არა გაქვს დაღლა აღმა თუ დაღმა,  
ძნელად ახერხებ შავ ძალთა მალვას,  
ჩაგსაფრებია სვავთა ამალა.



## ჭიამაია

ო, ჭიამაია ნუ გამიფრინდები,  
თორემ გაწვიმდება... სად გაირინდები?  
რომ ველარ გიპოვნო? დამახრიობს  
ცრემლები,  
ძლიერ მიყვარხარ და დობას  
გევედრები.



## მოღრუბლულობა

ნისლები წასულან ფიქრებში,  
წვიმის დამსხვრეულა წვეთები,  
ყვავ-ყორნებს დაუკეცავთ ფრთები,  
სიზმრებში ჩაძირულან მთები.

ქუხან ამღვრეული ხევები,  
ნაპირს აწყდებიან შხეფები,  
წყალში იხრჩობიან გველები,  
სადღაც დამალულან პეპლები.



## გვილივილი

სიყვარულთ შორის აღმატებული,  
ნეტარ გრძნობებით განზაცებული,  
ღვთით დალოცვილი, გაბრწყინებული,  
ახლობელთ მიერ განდიდებული.

ჩუმად თოვს, სიზმრით გარინდებული  
უმანკო ფიფქი, გაღიმებული...  
ძინავს უჩუმრად, გალალებული,  
შარავანდედით განათებული.

ქვეყნიერება განახლებული,  
ყოველი ცუდი დავიწყებული,  
მტერ თუ მოყვარე აღზევებული,  
შენთვის მარადჟამს თავდადებული.

მომავალისა ხარ შენ გაზაფხული,  
ღრუბელთა შორის მიმოხატული,  
ფეხთქვეშ ვარსკვლავნი მიმოფანტული,  
ანგელოზები მიმოქარგულნი.

## ქველი „ქუხნა“

დღონა წარსული რომ წაშალოო;  
ძველი „ქუხნა“ უნდა დაშალოო.  
შეკითხვის ხელი არ გაშალოო,  
არაფერია აქ სადაოო.

წავა და კვლავაც გაითბობს კედლებს,  
გაასხივოსნებს კერიის ფერებს.  
სიზმრად თუ ნახავს გარდასულ  
დღეებს,  
ზღაპრად უამბობს გამურულ  
ძელებს.

ათუხთუხდება ჩახანა ჯაჭვზე,  
შეიბოლება „ვიჩინა“ კავზე,  
დაიწურება ყველი თბილ ქვაზე,  
კვამლი გაუხვევს აღმავალ გზაზე.



## შემოდგომის ნიავი

გული გაუცივდა ნიავს,  
ალარ მიალერსებს თბილად,  
თავ-პირს მომვარდება ხშირად,  
მერე კი — მიშორებს ცივად.

ცა არ მიაჩნია ბინად,  
ხევი იბურება ნისლად,  
ცრემლი ცას ჩამოსდის წვიმად,  
ნიავი კვლავ დგება ყირად.

გული გაუცივდა ნიავს,  
მაინც მეფერება დინჯად,  
ჰაერს გადამისმევს მშვიდად,  
უძრავს გადამარწევს ფიქრად.



## ოდა

ერთი ფესვით ხე არ ცოცხლობს,  
არ სწორდება ბედი მრუდე,  
უალერსებს ცეცხლი ბუხარს,  
დაუბრუნდა კაცი ფუძეს.

ნასახლარზე დგას ჭახრაკი,  
დარაჯობა აბარია,  
აღარ არის ის სახლ-კარი,  
მეზობლებს რომ აბარიათ.

დარჩა მარტო კარ-მიდამო  
და სახელი მეპატრონის.  
აყვავდება აქ ოჯახი?  
აშენდება სახლი ოდის?

## გველის პერანგი

გველი იცვლის პერანგს,  
მაინც რჩება გველად.

თუმც დარაჯობს სახლ-კარს,  
არც დაინდობს ოჯახს.

არ მოკლათო, ფარავს  
სახლს, ეზოს და მარანს.

არა მჯერა მისი  
სიკეთის და ფიცის.

მას ის უნდა—სხვისი  
სახლი გახდეს მისი.

ტანზე იცვლის პერანგს,  
გველი რჩება გველად.



## ტყე ხომ მაინც ტყეა

მისტიური ოცნება,  
იდუმალი გოდება,  
სილამაზის მონება,  
ნეტარების ბოძება.

მოპინადრე ავსულთა,  
მასპინძელი აუგთა,  
მიმპაძველი ხმაურთა,  
მონმე აურ-ზაურთა.

მოთარეშე ქაჯების,  
მოხტუნავე ჭინკების,  
მიმომფრენი ალების,  
უჩინარი ხილვების.



## ცა

ელავს და ღელავს ცა,  
კვესავს და ჭექავს ცა,  
ცეკვავს და ცეცხლავს ცა,  
ნებავს და სეტყვავს ცა,  
ცელავს და ჩეხავს ცა,  
ბედავს და ზღველავს ცა,  
ხედავს და ზვერავს ცა,  
ღებავს და ფერავს ცა.



## მუსიკური აღმოჩენები

გასხივოსნებული, მშვიდი სახით  
იღიმება მთავარანგელოზი.  
გაბრწყინებული, ხელებში ჯვარით,  
იღოცება ფუძის ანგელოზი.

ქვეყანაზე ფიქრებით და დარდით  
იღრუბლება ცა — ნათლისმშობელი.  
სევდიანი, სიყვარულის შარმით  
იცრემლება დედა — ღვთისმშობელი.



## პველი აღმოჩენი

შემორჩენილა  
ძველი ალბომი, —  
უცნობ სახეთა  
ამოსაცნობი.

სახელი, გვარი —  
დაუდგენელი.  
გარდასულ ხალხთა  
მაუნყებელი.

გარდაცვლილების  
ძველი ალბომი,  
ცოცხლად რჩენილთა  
სულის ამბოხი.



## თვითმკვლელი და მოკვდავი

სიყვარულით ქმნიდა შემოქმედი  
ამ სამყაროს: — ცას და დედამიწას.  
სიხარულით ძერნდა მამა ღმერთი  
თვის ხატებას — ადამიანისას.

ნებით უარი ქვეყნად ყოფაზე,  
საკუთარ თავზე და ამ ზეცაზე,  
და ღვთის შექმნილის მზერა-ცქერაზე,  
მიღურთხებაა ღმერთის ნებაზე.

ადამიანთა მკვდარ ჭურჭელში  
ხეთა ფესვები ნელა აღწევენ  
და იმქვეყნიურ მიწისქვეშეთში  
სულნი ნეშტებში ვერ შეაღწევენ.

ცრემლს გადავავლებ განვლილ  
ცხოვრებას,  
დავრჩები სევდად და მოგონებად,  
გულისტკივილი, ამაოება  
აღარ მექნება საშიშროებად.

## გელურა

ქარია და სიცივე,  
აბურძგნულა ბელურა,  
რალაცას შემჭიკვებს  
პანაწინა, ველურა.

გაფრინდება ჩემგან და  
ვეღარ ვნახავ ეულად,  
გასხვისდება, წავა და  
დამიკინყებს ჩვეულად.

სახელი აქვს ზოგადი,  
კერძო — არაფერია.  
ტანი არ აქვს წონადი  
მოჟღურტულე ფერიას.



## გაუთხოვარი

შენ სილამაზემ დაგლუპა შენმა,  
შენ სიჭკვიანემ გაგყიდა შენმა,  
შენ სისპეტაკემ გაგსვარა შენმა,  
შენ სიდიადემ დაგწია შენმა.

ანდამატივით მიმზიდველობა  
სულ თან დაგყვება, ვით შეჩვენება,  
კვლავ აქვეითებს სხვის მხედველობას  
შენი უმანკო თვალთმეტყველება.



## ისე

თოვლი ისე დაძველდა,  
რომ გაუჩინდა მატლები.  
ქარი ისე აღელდა,  
დაინყევლა თავბედი.

წვიმა ისე მომბეზრდა,  
მესიზმრება დარები.  
ცეცხლი ისე გაცეცხლდა,  
გადაბუგა სახლები.

ყინვა ისე გამკაცრდა,  
დაამსხვრია ხეები.  
წყალი ისე აქაფდა,  
აამღერა ხევები.



## მწვანე პალახი

არის და არის ეს ბალახი,  
თითქოს და სულ იყო და იყო,  
შთამომავლობით გარდმოსული  
წინაპართა მეტკვიდრე იყო.

მარად არის მწვანე, ხასხასა...  
კაცთ თაობები იცვლებიან,  
ის კი არის ლორთქო, ნარნარა,  
არც არასოდეს გაქრებიან.



## გურიის ნიავი

რა თბილია და რა რბილი  
ჩემი ქვენობნის ჰაერი,  
რა ნაზია და ფაფუკი  
სოფლის ნიავის ბაგენი.

დედა თუ მომფერებია  
ასეთი ხვევნა-ალერსით,  
ტოტებს ქვეშ ჩამძინებია  
ამდენი კოცნა-ალერსით.



## მწარე

მწვანე ფერი —  
ტყეთა ფერი,  
მდელოთ ფერი,  
ხეთა ფერი,  
ღეროთ ფერი,  
მინდორთ ფერი,  
გვიმრთა ფერი,  
კვირტთა ფერი,  
სოჭთა ფერი,  
ყლორტთა ფერი,  
ფოთოლთ ფერი,  
ბუჩქთა ფერი,  
ზურმუხტთ ფერი,  
ბალახთ ფერი,  
ხავსთა ფერი,  
ნაძვთა ფერი,  
ვაზთა ფერი,  
ყვავილებთა  
თანაფერი,  
საღვთო ფერი,  
ფერთა ფერი.

## დაუსრულებელი ცვილები

ეს რას დამცინის ამინდი?  
სულ ამინენა გეგმები.  
ნეტა, სულის მოსათქმელად  
თუ შეჩერდება წვეთები?

რამდენი თქეშის მომსწრეა  
დღის ნათელი და ბინდები.  
მხუთავი თავსხმის მოწმეა  
წვეთების ფერთა სხივები.

ზეცა ცრემლებად იღვრება,  
არ ეზარება გოდება,  
ცა მოთქმით არ დაიღლება,  
სევდაზე-ნაღვლის მორევა.



## სიკეთი

დასჯილია გველი – არც ხელი აქვს,  
არც ფეხი,  
წამალია შხამი – ხან მშველელი...  
ხან მკვლელი.

დალოცვილი ფუტკარი ნაკურთხია  
ღმერთის,  
ჯანმრთელობის გარანტი და სიცოცხლის  
მცველი.  
ასა სიკეთე დაფარავს  
ერთი ბოროტება,  
სრულ სიკეთეს არ ახლავს  
მცირე ბოროტებაც.



## გზის ამოსვლა

ძლიერ მიყვარხარ შენ, მზის ამოსვლავ,  
ფრინველთა ხმებით, მკრთალი აისით,  
სხივების ფენვით ზეცად აღმოსვლავ  
და განშორებავ დღესთან დაისით.

ატორტმანდა განთიადი ცაზე,  
კვლავ ჩამიდგა სითბოება სულში,  
ფერთდაბრუნებულ დედამიწაზე  
ჩამებუტა მზის სხივები გულში.



## ლობის სარეპი

ლობის თავწვეტა სარები,  
დაკლაკინილები, ხლართები.  
ხელჩაკიდული ჯაჭვები,  
შემოუღობავთ საზღვრები —

წარსულის კოლორიტები,  
აწმყოსი ჩანამატები,  
მომავლის, ალბათ, გამძლები,  
ბუნების ჩანახატები.

ეს დაჩხაპნილი სარები,  
გადაღუნული ბრჭყალებით,  
ეზოს გარშემო ჩამდგარან,  
გადუხვევიათ მკლავები.

სხვადასხვა მხარეს გარბიან  
მათი ცქერა და თვალები.  
მოუღერიათ თავები,  
გულში მერჭობა გავლებით.

რა ვქნა რომ ჯავრად მიდია,  
მათი ბედი და ავბედი.  
ისწრაფვენ ცისკენ, მიდიან,  
მობეზრებიათ თავბედი.

## ოდიტგან

ოდიტგან ასე ყოფილა,  
გარშემო მტრები გვყოლია,  
დიდი ნაჭერი მიწისა  
სუყველამ გაიყოლია.

ოდიტგან ასე ყოფილა,  
სხვისი არასდროს გვდომია,  
იქით გვართმევდნენ ყოველთვის  
თუ ხელი შემოწვდომიათ.

ოდიტგან ასე ყოფილა,  
ძე – შვილი ჩაგვიხოცია,  
ფიალა სისხლით გავსილა,  
მტერს პირი გაუხოცია.



## ციფრითი განვითარების სამსახური

დამის ციფრითი განვითარების  
სამსახურის მიზანი არის მთვარის  
უკუნის განვითარების მიზანი.  
ერთი ციფრითი განვითარების  
კუთხით მთვარის განვითარებას.

უკუნის განვითარების  
მიზანი არის მთვარის  
უკუნის განვითარების  
მოლიციური მიზანი.



## ლიანა სიმარტინი სამსახური

ლიანა სიმარტინი  
სამსახურის მიზანი არის მთვარის  
უკუნის განვითარების მიზანი.  
ერთი ციფრითი განვითარების  
კუთხით მთვარის განვითარებას.

სხვაგანაც არის ბუნება,  
წყალი და ცელქი ჩანჩქერი,  
სხვაგანაც ღამე ხუნდება,  
ყველას აქვს ზეცა მფარველი.

წინაპართ გენთა გავლენა,  
იმათი სულთა ძალები,  
წეშტთა მიწაში აღრევა  
და გაუხრწნელი ძვალები.

ლიანა სიმარტინი  
სამსახურის მიზანი არის მთვარის  
უკუნის განვითარების მიზანი.  
ერთი ციფრითი განვითარების  
კუთხით მთვარის განვითარებას.

## სარჩევი

საქართველო .....	3
გამოვეწყობი .....	4
გენური ინჟინერია .....	5
უპატრონო .....	6
რუ .....	7
წყარო .....	8
ბილიკი .....	9
ზომიერება .....	10
აპრილის წვიმები .....	11
სამშობლო .....	12
მცენარეებთან .....	13
ზარები .....	14
ქარი ქრის .....	15
შავთეთრი .....	16
მეუღლეს .....	17
შემოდგომის ეტიუდი .....	18
ქართული მიწა .....	19
ღრუბელი .....	20
მუსიკა .....	21
ზმანება .....	22
ბერბიჭა .....	23
უკანასკნელი ამოსუნთქვა .....	24
აპრილის მტკვარს .....	25
იის ავადმყოფობა .....	26

ბაკურიანი .....	27
ბოტანიკურ ბაღში .....	28
ამინდის წამოტირება .....	29
ზღვა .....	30
თეთრი ლექსი .....	31
რვეული .....	32
სიყვარული .....	33
მეოცე საუკუნე .....	34
გადაირე .....	35
თეთრ თოვლზე .....	36
გოდება .....	37
ზღაპრული სამშობლო .....	38
ნევროზი .....	39
ქარი .....	40
დილა .....	41
პეიზაჟები .....	42
აფხაზეთი .....	43
აპრილის ტიტა .....	44
შეყვარებულები .....	45
სევდა .....	46
დილა .....	47
ორსახოვანი .....	48
სიჩუმის მუსიკა .....	49
შვილო .....	50
გურიის სურნელება .....	51
ზამთარი სოფელში .....	52

წევიძე	53
უამთასვლა	54
გურია	55
ნარსულში	56
მხატვრის ოცნება	57
რწმენა	58
ქუჩაში	59
სოფლის ჩანახატები	60
ზაფხული ზღვაზე	61
სოფელი	62
წვიმა	63
შავ დღეებს	64
ზამთარი	65
იალალებზე	66
ომის დაწყება	67
ჭინკების ღამე	68
მოსალამოვდა	69
ქალი მთაზე	70
სიცოცხლე წელიწადია	71
თბილისის ძველ უბანში	72
მზის ჩასვლა	73
ქარი	74
ლოცვა	75
ღმერთო	76
ვარსკვლავთა ქორწილი	78
გურიაში	79

ფანტაზია	80
* * * (ეს რას დამცირის ამინდი?)	81
2008 წლის ცხელი ზაფხული ---	82
ბუნების ბუნება	83
ქალბატონ ნანა ნემსაძეს	84
ომის ცეცხლი	85
მე ბუნება ვარ	86
ნისლიანი ამინდი	87
ხატების იდუმალება	88
ტირიფი	89
ოსმალოზე გამარჯვების ნადიმი	90
ყოველთვის რაღაც	91
მანანნალა	92
ჭიამაია	93
მოღრუბლულობა	94
შეილიშვილი	95
ძველი „ქუხნა“	96
შემოდგომის ნიავი	97
ოდა	98
გველის პერანგი	99
ტყე ხომ მაინც ტყეა	100
ცა	101
მფარველები	102
ძველი ალბომი	103
თვითმევლელი და მოკვდავი	104
ბეღურა	105

გაუთხოვარი .....	106
ისე.....	107
მწვანე ბალახი .....	108
გურიის ნიავი.....	109
მწვანე.....	110
დაუსრულებელი წეიმები.....	111
სიკეთე.....	112
მზის ამოსვლა .....	113
ღობის სარები.....	114
ოდიდგან .....	115
ციცინათელა .....	116
ნეტა რად გვიყვარს სამშობლო? .....	117



శబ్దముల ప్రాంతాన్ని వ్యవహరిస్తున్న శ్మృతిలో  
పిట్టినాడను క్రతువులకొచ్చి ల్పితాంచ బ్యాగ్‌లోనే,  
శంకులు అని వ్యవహరిస్తున్నాడన్నాయ  
అది పాఠానిస - శింక్షపా.

ISBN 978-9941-0-6890-0

9789941068900